განკარგულება:**გ-63. 63243599**
თარიღი:**24/12/2024**

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის“ 2025 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ თავი მე-3 მუხლი 16-ე პუნქტი მე-2 „ტ“ ს და თავი მე-4 მუხლი 24 პუნქტი 2-ის შესაბამისად განიხილა, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის'' 2025 წლის ხარჯის, მათ შორის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების საკითხი და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

**1.** დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის“ 2025 წლის პროგრამა. (დანართი№1)

2.დამტკიცდეს ,,არასამეწარმეო“ (არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის“, 2025 წლის შემოსავლები (დანართი #2 ).

3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის“ 2025 წლის ხარჯები (დანართი # 3).

4. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის“ 2025 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი (დანართი #4).

5**.** დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის“ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა 2025 წლის სახელფასო განრიგის და სახელფასო ფონდის გაანგარიშება (დანართი N5).

6. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის“ პედაგოგთა სახელფასო განაკვეთის გაანგარიშება (დანართი N6)

**დანართი #1**

# ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის პროგრამა

1.aRwera ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის პროგრამა გათვლილი დაწყებითი სამუსიკო განათლების სასწავლო გეგმაზე (სწავლის ხანგრძლივობა 6 წელი). იგი ემსახურება მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნებისა და წარმოსახვის უნარის ჩამოყალიბებას, რომელიც პიროვნებას საშუალებას აძლევს სრულფასოვნად ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პროგრამა ორიენტირებულია არა მხოლოდ პროფესიულ სამუსიკო განათლებაზე, არამედ მოზარდი თაობის ინტერესებისა და არჩევანის უფლების გათვალისწინებით. იგი მიღწევადია თითოეული მოსწავლისათვის სხვადასხვა ხარისხით, შესაძლებლობიდან გამომდინარე.

სამუსიკო განათლების **მიზანია** ცოდნის მიცემა მუსიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განათლებულ, კულტურულ ადამიანად ჩამოყალიბებას, მუსიკის მსმენელის, შემსრულებელ-მოყვარულის აღზრდა, შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა გამოვლენა, ელემენტარული კომპლექსური ცოდნა მუსიკის შესახებ, გამოიმუშაოს პირველად საშემსრულებლო უნარ-ჩვევები და აღზარდოს `მსმენელი~.

2024-2025 წლისთვის სკოლაში ირიცხება 52 მოსწავლე, მათ შორის 4 ბავშვი სოციალურად დაუცველი ოჯახიდან. სწავლის გადასახადი თვეში ერთ ბავშვზე შეადგენს 7 ლარს, საკუთარი სახსრებით ნაწილობრივ ფინანსდება ხელფასი, სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯი.

## 2. მოსალოდნელი შეუალედური შედეგები

მოზარდთა მასიური ჩართულობა კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში.

კონკურსის და ფესტივლების საშვალებით მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მოზარდთა გამოვლენა.

მუსიკალური მიღწევების გაუმჯობესება.

კონკურსში მონაწილეთა და უმაღლეს სამუსიკო სასწავლებლებისათვის მომზადებულ მოზარდთა რაოდენობა.

## 3. მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

მოსწავლისათვის მუსიკალური განათლების მიღება.

მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბება, სოლო და კოლექტიური კონცერტების გამართვა, ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობის მიღება, მუსიკის სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაციისათვის მხატვრულ-მუსიკალური ღონისძიებების მოწოდება.

მუსიკალური ნიჭით გამორჩეულ მოზარდთა გამოვლენა და მათი პროფესიული ზრდა.

მუსიკის პოპულარიზაციისათვის საანგარიშო კონცერტი.

სხვადასხვა კონკურს-ფესტივალებზე მიღწეული წარმატებები.

**დანართი #2**

**ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის''**

**2025 წლის შემოსავლების გეგმა (სუბსიდიის ჩათვლით)**

| # | დასახელება | **თანხა** (ათასი ლარი) |
|---|---|---|
| 1 | სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან | 73,90 |
| 2 | მშობელთა შემოწირულობა | 2,60 |
| | **სულ ჯამი** | **76,50** |

**დანართი N3**

**ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის''**

**2025 წლის ხარჯი (ათასი ლარი)**

| ეკ. კლას. კოდი | ორგანიზაციული კოდი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი | სულ ჯამი სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან | 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევი ხარჯები | 2025 წლის საკუთარი შემოსავლებით გასაწევი ხარჯები |
|---|---|---|---|---|---|
| | 0502 0103 | ა.(ა).ი.პ. სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა | 76.50 | 73.90 | 2.60 |
| 2 | | ხარჯები | 75.50 | 72.90 | 2.60 |
| 2.1 | | შრომის ანაზღაურება | 68.30 | 65.70 | 2.60 |
| 2.2 | | საქონელი და მომსახურება | 7.20 | 7.20 | 0.00 |
| 31 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1.00 | 1.00 | 0.00 |
| 31.1 | | ძირითადი აქტივები | 1.00 | 1.00 | 0.00 |

**დანართი N4**

**ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის“**

**2025 წლის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის გაანგარიშება ( ლარში)**

| N | საშტატო ერთეულის დასახელება | საშტატო ერთეულის რაოდენობა | ხელფასის რაოდენობა ერთ თვეში | სულ წლიური | წლიური სუბსიდიით | წლიური საკუთარი შემოსავლით |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დირექტორი | 1 | 799 | 9588 | 9588 | |
| 3 | ბუღალტერი | 1 | 726 | 8712 | 8712 | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | მნე | 1 | 242 | 2904 | 2904 | |
| 5 | საქმეთა მმართველი | 1 | 321 | 3852 | 3852 | |
| 6 | პედაგოგი | 5 | 3590 | 43080 | 40560 | 2520 |
| | სულ: | 9 | 5678 | 68136 | 65616 | 2520 |

**დანართი N5**

**ა.(ა.)ი.პ. ,, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის“ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა 2025 წლის სახელფასო განრიგის და სახელფასო ფონდის გაანგარიშება (ლარში)**

| N | თანამდებობის დასახელება | თანამშრომელთა რაოდენობა | ერთი თვის სახელფასო ფონდი | სულ წლიური |
|---|---|---|---|---|
| 1 | დამლაგებელი | 1 | 242 | 2904 |
| | სულ: | 2 | 242 | 2904 |

**დანართი N6**

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის“ პედაგოგთა სახელფასო განაკვეთის გაანგარიშება**

**2025 წელი**

| | 5 წლამდე | | 5-10 წლამდე | | 10 წლის ზემოთ | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | განაკვეთი | სთ.ღირებ. | განაკვეთი | სთ.ღირებ. | განაკვეთი | სთ.ღირებ. |
| საშუალო განათლება | 253,42 | 14,08 | 259,18 | 14,40 | 267,14 | 14,84 |
| სპეციალური საშუალო განათლება | 279,92 | 15,55 | 287,00 | 15,95 | 294,07 | 16,34 |
| ბაკალავრი | 306,87 | 17,05 | 313,95 | 17,44 | 321,04 | 17,83 |
| მაგისტრი | 333,85 | 18,55 | 340,92 | 18,94 | 347,99 | 19,33 |
| კანდიდატი,დოქტორი | 369,46 | 20,53 | 380,77 | 21,15 | 431,96 | 24,00 |

7. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი